

საგადასახადო და იურიდიული სიახლეები

KPMG Georgia

გამოცემა 3
ივნისი, 2019

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონი

შრომის კოდექსი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონმდებლობა

საგადასახადო კანონმდებლობა

ცვლილებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში

2019 წლის 8 მაისს ცვლილება შევიდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებები ნაცვლად 2019 წლის 1 ივლისისა ძალაში შევიდა 2019 წლის 10 მაისიდან. აღნიშნული ცვლილებები შეეხო კანონის არაერთ ნორმას, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობა ჩანაცვლდა სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობით. სახელმწიფო ინსპექტორი და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აღიარებულ იქნა, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ჩანაცვლებამ სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობით ცვლილებები გამოიწვია საქართველოს რიგ საკანონმდებლო აქტებში.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი

2019 წლის 10 მაისიდან ძალაში შევიდა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული მუხლები, რომლის საფუძველზე განისაზღვრა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის პრინციპები, საფუძველები, მიზნები, უფლებამოსილებები და ვალდებულებები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით განისაზღვრა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა, პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა; პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება); საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ცნობიერების ამაღლება.

KPMG Georgia გათავაზობთ საგადასახადო და იურიდიულ მომსახურებას. ჩვენ ინდივიდუალური მიდგომით ვავითარებთ თქვენზე მორგებულ მოდელებს თქვენი ბიზნესის კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ცვლილებები „საქართველოს შრომის კოდექსში“ და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“

2019 წლის 10 მაისს „საქართველოს შრომის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე განიმარტა „სექსუალური შევიწროების“ ცნება, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა. განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე დამსაქმებლებს დაეკისრათ ვალდებულება მიიღონ ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს, დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების ასახვას და მათი შესრულების უზრუნველყოფას.

ამასთან, საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ 2019 წლის 3 მაისის ცვლილებებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრა სექსუალური შევიწროება და სექსუალური შევიწროებისთვის დადგინდა შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები.

ცვლილებები „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ 2019 წლის 10 მაისს ამოქმედებული ცვლილებების მიხედვით, პირის მიერ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე საქართველოს სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის უფლებამოსილების ვადად განისაზღვრა 1 წელი, მას შემდეგ რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია. ახალი რეგულაციების მიხედვით პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სარჩელით მიმართოს სასამართლოს მაშინაც, თუ შრომითი ურთიერთობა, რომლის დროსაც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა, დასრულებულია. გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, როგორც მოსარჩელემ სარჩელით მიმართოს სასამართლოს, თუ იურიდიულმა პირმა, სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა, პირთა გაერთიანებამ იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტმა მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს დისკრიმინაციას.

ცვლილებები დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონმდებლობაში

დამტკიცდა დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების ან ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლების დაბრუნების და სქემაში ხელახლა გაწევრიანების წესი. აღნიშნული წესის მიხედვით დაგროვებითი საპენსიო სქემიდან დასაქმებულის გასვლის შემთხვევაში საპენსიო სააგენტომ 60 კალენდარული დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს დამსაქმებლის საბანკო ანგარიშზე დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელით/სასარგებლოდ განხორციელებული შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო/სხვა შემოსავლის გადარიცხვა.

თავის მხრივ დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულის კუთვნილი საპენსიო შენატანები და მასთან დაკავშირებული საინვესტიციო/სხვა შემოსავალი (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გამოკლებით) დაუბრუნოს დასაქმებულს საპენსიო სააგენტოდან თანხის მიღების შემდეგ არაუმეტეს ათი საბანკო დღის ვადაში.

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

► 2019 წლის ივნისიდან ამოქმედდა რიგი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში:

– აქციზით დაბეგვრის კუთხით არსებული ცალკეული შეღავათები შენარჩუნდა მხოლოდ შესაბამისი კატეგორიის მარცხენასაჭიან მსუბუქ ავტომობილებზე, ხოლო მარჯვენასაჭიანი მსუბუქი ავტომობილებისათვის გადასახადის განაკვეთი გაიზარდა, კერძოდ:

- 60%-ით შემცირებული აქციზის განაკვეთებით დაიბეგრება მხოლოდ მარცხენასაჭიანი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილები 0-დან 6 წლის ჩათვლით;
- აქციზისაგან სრულად გათავისუფლების წესი იმოქმედებს მხოლოდ მარცხენასაჭიან ელექტროძრავიან მსუბუქ ავტომობილებზე;
- მარჯვენასაჭიანი (ან გადატანილი საჭით) ელექტროძრავიანი მსუბუქი ავტომობილებისათვის შესაბამისი აქციზის განაკვეთები გამრავლდება 2,000-ზე.

► 2019 წლის მაისში ამოქმედდა ცვლილება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებაში:

– გაუქმდა პირის ვალდებულება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერასთან დაკავშირებით უცხოეთის დიპლომატიური მისიის წევრისთვის ერთი ოპერაციის ფარგლებში 100 ლარზე ძვირადღირებული საქონლის/მომსახურების მიწოდების შემთხვევაში. ბრძანების მიმდინარე რედაქციით აღნიშნულ შემთხვევებზე გავრცელდება საგადასახადო კოდექსის ზოგადი ნორმები, კერძოდ ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში/საფუძველზე.

► ამოქმედდა რიგი ცვლილებები „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N290 ბრძანებაში, კერძოდ:

– იმპორტის გადასახდელების გადახდის 5 დღიანი ვადა გავრცელდება:

- „ოქროს სიის“ მონაწილეების კუთვნილ საქონელზე, ნაცვლად ცვლილებამდე მოქმედი 30 დღიანი ვადისა;
- დეკლარანტის მიერ შევსებული და რეგისტრირებული დეკლარაციით საქონლის გაფორმებისას, ნაცვლად ცვლილებამდე მოქმედი 10 დღიანი ვადისა;
- წინასწარ (საქონლის შემოტანამდე) დეკლარირებულ საქონელზე, ნაცვლად ცვლილებამდე მოქმედი 15 დღიანი ვადისა.

კახა რუხაძე

მმართველი პარტნიორი,
საგადასახადო &
იურიდიული
დეპარტამენტი
+995 322 93 56 95
krukhadze@kpmg.com

ჯაბა გველებიანი

იურიდიული
დეპარტამენტის
ხელმძღვანელი,
უფროსი მენეჯერი
+995 322 93 56 95
jgvelebiani@kpmg.com

ანა მარდალავიშვილი

უფროსი საგადასახადო
კონსულტანტი
+995 322 93 56 95
amardaleishvili@kpmg.com

შპს KPMG Georgia

თავისუფლების
მოედანი 4, GMT
Plaza, მე-5
სართული
თბილისი, 0105
საქართველო

— „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილ, სეს ესნ-ის 1001 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ ხორბალზე კვლავ იმოქმედებს იმპორტის გადასახდელების გადახდის 45 დღიანი ვადა.
ზემოაღნიშნული ცვლილება აქციზური საქონლის მიმართ ამოქმედდება 2019 წლის 13 ივნისს, ხოლო სხვა შემთხვევაში 2019 წლის 3 ივლისს.

► შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 20 მაისის N15747 ბრძანების მიხედვით შეიქმნა დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისია და დამტკიცდა კომისიის საქმიანობის წესი. კომისია შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, ასევე გადასახადის გადამხდელის განცხადების საფუძველზე მოახდენს ბუნებრივი და საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების შემუშავებას.

Newsletter: Tax & Legal

KPMG Georgia

Issue 3
June 2019

Personal Data Protection Law

Law on States Inspector's Service

Labor Code of Georgia and Administrative Offences Code of Georgia

Civil Procedure Code of Georgia

Legislation on Accumulative Pension

Tax Code of Georgia

[Amendments to the Law of Georgia on Personal Data Protection](#)

On 8 May 2019, amendments to the “Amendments to the Law on Personal Data Protection” came into force. According to the amendments, the amendments that had to become effective from 1 July 2019 entered into force from 10 May 2019. The amendments concerned different articles of the law, inter alia State Inspector's Service replaced Office of the Personal Data Protection Inspector. State Inspector and State Inspector's Service is regarded as a successor of the Personal Data Protection Inspector. The replacement of the Personal Data Protection Inspector resulted in changes to the various Georgian legislative acts.

[Amendments to the Law of Georgia on State Inspector's Service](#)

On 10 May 2019, certain articles of Law on State Inspector's Service came into force, which determined core principles, grounds, purposes, authorities and obligations for the State Inspector's Service activities. In regard to the personal data protection activities, the Law established its primary directions. In particular, consultation on issues related to personal data protection; revision of applications on personal data protection; examination (inspection) of lawfulness of personal data processing; providing information regarding the situation on personal data protection and related occasions in Georgia to the society and raising awareness.

[Amendments to the Labor Code of Georgia and to the Administrative Offences Code of Georgia](#)

On 10 May 2019, amendments to the Organic Law “Labor Code of Georgia” came into force. The amendments defined concept of the “sexual harassment” as one of the forms of the discrimination. The amendments imposed obligation on the employer to undertake measures to ensure compliance with the principle of equal treatment, which includes adoption of antidiscrimination provisions in the internal regulations and other documents of the institution and ensure their observance.

Herewith, on 3 May 2019 amendments to the Administrative Offences Code of Georgia came into force that established sexual harassment as an administrative offence and determined relevant liability.

[Amendments to the Civil Procedure Code of Georgia](#)

On 10 May 2019, amendments to the Civil Procedure Code of Georgia entered into force. According to the amendments, a claim on discrimination may be filed with court within one year after a person becomes aware or ought to have become aware of the circumstance that he/she assumes to be discriminating. New regulations established that a person considering himself/herself to be a victim of discrimination shall have the right to file a claim with court even when the labor relations, during which a discriminating act was committed against him/her, are completed.

Public Defender of Georgia became authorized to file a claim with court against a legal person, other organizational formation, an association of persons without forming a legal entity, or an entrepreneurial entity, if such entities failed to respond to or consider recommendation of the Public Defender and if there are sufficient evidences that prove the fact of discrimination.

[Amendments to the legislation on Accumulative Pension](#)

The rules related to the withdrawal/re-entrance from/to the accumulative pension scheme, the return of the pension contributions and related investment/other income have been established. According to the rules, after the withdrawal of an employee from the accumulative pension scheme, the Pension Agency is responsible to transfer the pension contributions made on behalf/for the benefit of the employee as well as respective investment/other income to the employer's bank account within 60 calendar days.

After the receipt of the money from the Pension Agency, the employer is responsible to return employee's pension contributions and related investment/other income (net of taxes provided for in the legislation) within 10 banking days.

[Changes in Tax Legislation of Georgia](#)

- ▶ Number of amendments have been made in Tax Code of Georgia with effect from June 2019:
- Certain tax reliefs related to excise duty remained valid with respect to the left hand drive vehicles, while the tax rate has been increased with respect to the right hand drive vehicles, namely:
 - Reduced excise duties (by 60%) will only be applicable to the left hand drive hybrid vehicles aged from 0 to 6;

Kakha Rukhadze
Managing Partner,
Tax & Legal
+995 322 93 56 95
krukhadze@kpmg.com

Jaba Gvelebiani
Head of Legal,
Senior Manager
+995 322 93 56 95
jgvelebiani@kpmg.com

Ana Mardaleishvili
Senior Tax Consultant,
ACCA
+995 322 93 56 95
amardaleishvili@kpmg.com

KPMG Georgia LLC
5th floor, GMT Plaza,
4 Liberty Square
105 Tbilisi, Georgia
www.kpmg.ge

- Full exemption from the excise duty will only be applicable to the left hand drive electric vehicles;
- Excise rates will be multiplied by 2,000 with respect to the right hand drive electric vehicles (or the vehicles with converted steering)
- ▶ The following amendment has been made to the MOF Order no. 996 on Administration of Taxes with effect from May 2019:
 - A person is no longer required to issue a VAT invoice upon the provision of goods/services to the members of a foreign diplomatic mission where the value of such goods/services exceeds GEL 100. General provisions of the Tax Code of Georgia related to the issuance of a VAT invoice upon the request of the purchaser will be applicable in this case.
- ▶ The following amendments have been made to the MOF Order no. 290 on Transportation of Goods on the Territory of Georgia and Customs Clearance :
 - Import duties will be payable within 5 days period with respect to the goods:
 - Imported by the members of the Golden List, instead of the previously available 30 days period;
 - Customs cleared based on the customs declaration filled in/registered by the declarant, instead of the previously available 10 days period;
 - Customs cleared in advance (before importing such goods), instead of previously available 15 days period.
 - Import duties will remain payable within 45 days period with respect to wheat (HS code 1001) imported by the members of the Golden List;

The above-mentioned amendments will enter into force starting from June 13, 2019 with respect to excise goods, for other cases - from July 3, 2019.
- ▶ A Commission for setting the maximum levels of shortage as wells as the regulations related to its activities was established by the Order no. 15747 of the Head of Revenue Service dated May 20, 2019. The Commission will be responsible for setting maximum shortage levels resulting from natural and manufacturing reasons, goods output and other technical standards related to the manufacturing process based on the request of the Revenue Service or taxpayer.

The information contained herein is of a general nature and is not intended to address the circumstances of any particular individual or entity. Although we endeavor to provide accurate and timely information, there can be no guarantee that such information is accurate as of the date, it is received or that it will continue to be accurate in the future. No one should act upon such information without appropriate professional advice after a thorough examination of the particular situation.